უსაფრთხოების მითითებები

• მრეცხავი მტვერსასრუტი განკუთვნილია საყოფაცხოვრებო პირობებში გამოყენებისთვის.

• მოწყობილობის ჩართვა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, თუ:

- ქსელის კვების კაბელი დაზიანებულია;
- მოწყობილობაზე აღინიშნება ხილული დაზიანებები;
- იგი დავარდა.

• ფირნიშზე (ტექნიკური მონაცემების დაფა) მითითებული ძაბვა უნდა შეესაბამებოდეს ქსელის ძაბვას. ფირნიში მდებარეობს მოწყობილობის ქვედა მხარეს.

• შეაერთეთ მოწყობილობა მხოლოდ ისეთ როზეტში, რომელიც დაცულია 16 ა-იანი ავტომატური ამომრთველით (მცველით).

• არასოდეს გამოიყენოთ მოწყობილობა იმ შენობებში, სადაც ინახება ადვილად აალებადი მასალები ან წარმოიქმნება ფეთქებადი აირები.

• არასოდეს დატოვოთ ჩართული მოწყობილობა უმეთვალყურეოდ.

• გამოიჩინეთ განსაკუთრებული სიფრთხილე კიბეების დასუფთავებისას. დარწმუნდით, რომ მოწყობილობა მყარად დგას კიბის საფეხურზე და თვალი ადევნეთ, რომ შემწოვი შლანგი ზედმეტად არ დაიჭიმოს. ექსპლუატაციის დროს არასოდეს დააყენოთ მოწყობილობა ვერტიკალურ მდგომარეობაში.

• (ჩართულ მდგომარეობაში) არ მიიტანოთ საცმები და შემწოვი მილი თავთან, ეს საშიშია თვალებისა და ყურებისთვის.

• არ მიუშვიროთ წყლის გამფრქვევი ჭავლი ადამიანებს ან ცხოველებს, როზეტებს ან ელექტროხელსაწყოებს.

• 8 წლის და უფროსი ასაკის ბავშვებს, ასევე შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან მენტალური შესაძლებლობების მქონე პირებს, ან მათ, ვისაც არ გააჩნიათ საკმარისი გამოცდილება და ცოდნა, შეუძლიათ გამოიყენონ ეს მტვერსასრუტი მხოლოდ იმ პირობით, რომ იმყოფებიან მეთვალყურეობის ქვეშ ან გაიარეს ინსტრუქტაჟი მოწყობილობის უსაფრთხო გამოყენების შესახებ და გააცნობიერეს მასთან დაკავშირებული საფრთხეები. ბავშვების თამაში მოწყობილობასთან აკრძალულია. ბავშვებისთვის მოწყობილობის გაწმენდა და მომსახურება მეთვალყურეობის გარეშე აკრძალულია.

• არ გამოიყენოთ **AQUATIC** მშრალი წმენდისთვის, თუ აკვაფილტრის სისტემა ან ფილტრის ტომარა არ არის დამონტაჟებული ექსპლუატაციის სახელმძღვანელოს შესაბამისად. ამან შეიძლება გამოიწვიოს მოწყობილობის დაზიანება.

• მგრძნობიარე კანის მქონე პირები უნდა მოერიდონ სარეცხ ხსნართან პირდაპირ კონტაქტს; თვალის, პირის ღრუს და სხვა ლორწოვან გარსებზე სარეცხი ხსნარის მოხვედრისას, ისინი დაუყოვნებლივ უნდა ჩამოიბანოთ დიდი რაოდენობით წყლით.

• ყურადღება! მოცემული მოდელი არ არის განკუთვნილი ჯანმრთელობისთვის საშიში ნივთიერებების, აგრეთვე გამხსნელების შემცველი სითხეების, ლაქის გამაზავებლების, ზეთის, ბენზინისა და მსგავსი ქიმიურად აგრესიული ხსნარების შესაწოვად.

• არ შეისრუტოთ დიდი რაოდენობით წვრილი მტვერი, მაგალითად: ტონერი, ჭვარტლი, ნალესის ნაწილაკები, ცემენტი და ა.შ. ამან შეიძლება დაარღვიოს ფილტრების მუშაობა და დააზიანოს მოწყობილობა.

• სველი წმენდის დასრულების შემდეგ აუცილებელია მოწყობილობის ყველა რეზერვუარის დაცლა. ქიმიური ნივთიერებები (მყარი იატაკისა და ხალიჩების საწმენდი საშუალებები) არ უნდა მოხვდეს ბავშვების ხელში.

• მოწყობილობის გამართული მუშაობა და წმენდის ეფექტურობა გარანტირებულია მხოლოდ საფირმო კონცენტრატების გამოყენების შემთხვევაში.

• გაწმენდის / მოვლის / შევსების / დაცლის წინ, ასევე გაუმართაობის წარმოქმნისას, უნდა გამორთოთ ყველა ამომრთველი და გამოიღოთ ჩანგალი როზეტიდან.

• არ დატოვოთ მოწყობილობა ღია ცის ქვეშ, დაიცავით ტენიანობის პირდაპირი ზემოქმედებისგან, არ ჩადოთ სითხეში და არ შეინახოთ გამათბობელ ხელსაწყოებთან ახლოს.

• შეინახეთ მოწყობილობა და მისი აქსესუარები მშრალ, სუფთა და დახურულ შენობაში +5°C-დან +40°C-მდე ტემპერატურაზე.

• არასოდეს შეაკეთოთ მტვერსასრუტი, მისი აქსესუარები ან კვების კაბელი (საჭიროა სპეციალური კაბელი) დამოუკიდებლად. ისარგებლეთ მხოლოდ ავტორიზებული სერვის-ცენტრების მომსახურებით, რადგან მოწყობილობაში არაკვალიფიციურმა ჩარევამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას თქვენს ჯანმრთელობას. თვალი ადევნეთ, რომ გამოყენებული იყოს მხოლოდ საფირმო სათადარიგო ნაწილები და აქსესუარები.

• ასევე დაიცავით წესები, რომლებიც მოცემულია ცალკეულ განყოფილებებში „ინფორმაცია გამოყენებისთვის“.

• მწარმოებელი არ აგებს პასუხს მოწყობილობის, აქსესუარების ან ნივთების შესაძლო დაზიანებაზე, რომელიც გამოწვეულია მოწყობილობის არადანიშნულებისამებრ გამოყენებით ან მისი არასწორი მომსახურებით.

• როზეტიდან ჩანგლის გამოსართავად მოკიდეთ ხელი ჩანგალს და არა კაბელს.

• თვალი ადევნეთ, რომ კვების კაბელი არ მოხვდეს სიცხის ან ქიმიურად აგრესიული სითხეების ზემოქმედების ქვეშ და არ დაზიანდეს საგნების ბასრ კიდეებზე.